



ვერცხული

კვირა, 24 ივლისი, 1916 წ.

გილაძის ალბომი:  
თფილისი, ალღას ქუჩა, № 6.

ფა 6445757575

# ვერცხული

# პატრიარქი

იუმორისტ.  
ჟურნალი

№ 30

F 644



ი. შლინც

სადილი ზაზანაქება-სიცხეების დროს ქ. თფილისში.



# ს ტ უ მ ა რ ი

(Гвоздь сезона!)

დიდის მოკრძალებით უძღვნი ავტორი ამ მკირე ამბავს ჩენს დამახებრებულს საზოგადო მოღაწესა და მოახრეს **გრიგოლ როზაძიძეს.**

— წაიკითხე, ბოშო, გაევიგოთ მა-ნც რას იწე-რება.

ქალური ცნობის მოყვარეობით შეეკითხა ქნი კატო თავის მეუღლეს, როცა ნიკომ ლურჯ სარ-ჩულიან პატარა კონკერტს თავი მოახია, წერილი გაშალა და მრავალ-მნიშვნელოვანად დაიძახა: გაბ-რიელ შიბაქიძესია!

ნიკომ დაიწყო:

„ნიკო! მსურს ზაფხული ამ მტერიან ქალაქს გარეთ გავატარო. სხვა სოფლებს ისეე ხიზათურა ვამჯობინე. დარწმუნებული ვარ, ჩემი სტუმრობა შენთვის დიდათ სასი-ხარულო იქნება და ხუთშაბათ საღამოს მე-ლოდე. მართალია შენს მეუღლეს არ ვიც-ნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ის მიც-ნობს და უმაღური ჩემი სტუმრობისა არ იქ-ნება. გავტოხილებ, ჩემი მატერიალური ბარგი მხოლოდ მეორე კლასის ზილითია, სხვაზე თქვენ გაძლევთ ნებას იზრუნათ. მორალურ-ინტელექტუალად ვიმედოვნებ ჩემთან ზაფხულის გატარება და მუსაიფი უნაყოფოდ არ ჩაივლის თქვენი ოჯახი-სათვის.

სადგურზე შეეგებეთ.

გაბრიელ შიბაქიძე“.

— ახირებულია თქვენმა ზემე! გულდაწყვე-ტით ჩაიღაპარაკა ნიკომ და წერილი ხელში შეა-ცივდა.

— ნეტავი გამაგებინა, როდის მოასწარი ასე დამეგობრება, რომ შენს თანხმობასაც აღარ უც-დის?

შეეკითხა ქნი კატო და ქმარს წერილი ჩა-მოართვა.

— გარწმუნებ, სულ მეორეჯერ შევხვდი ქარ-თულ კლუბში ამ სამი თვის წინეთ.

— სწორედ ეგ არის, სთქვი და დაგიჯერე!

— ფფიკავ შეილებს, მხოლოდ ორჯერა მყავს ნახული.

— მამას ჩენა ყვევრთ შემოქმედსტული. ხუმ-რობით შენიშნა პატარა ელკომ.

— რა ვქნა, როგორ დავარწმუნოთ: პირფ-ლად ენახე აკაკის დასაფლავებაზე და მეორეჯერ ამ სამი თვის წინათ კლუბში, ვახშამზე მიგვიწვია.

— აჰა! როგორც ეტყობა დავალბული ყო-ფილობარ.

— რის დავალბული, ადამიანო? მიგვიწვია, თორემ გადახდით ფული მე გადავიხადე—ნებას გაძლევთ გაუსწორდეთო—გეითხრა და თითონ ვი-ლაც გოგოს გაედევნა.

— მიკვირს ღმერთმანი! თუ ვგრება როგორ ბედავს უცნობ ოჯახში ასე დაუპატრეებლათ ჩამო-სახლებას?

— რა გაეწყობა, უარს ხომ ვერ ვეტყვით, რაც უნდა იყოს შიბაქიძე!

— მართლაც უხერხულია, დედი. თითონ არ უნდა ეკადრებია ასეთ უცნობ ოჯახში ჩამოჩხრიცა, მაგრამ რაკი არ შეჩქვება, ახლა რაღა გაეწყობა. ჩაერთა ლაპარაკში ნიკოს უფროსი ვაფი ლეო.

### პირველი დღე.

— აღვა, შეილო?

— არა, დედი, არა. წუხელ მითხრა,—მე სხენაირი გაღვიძება ვიცი, ჯერ მარცხენა თვალს გაახელ, ნახევარი საათის შემდეგ მარჯვენას და შემდეგ ავღვიძო. მამას უთხრა—დილას ბნაურობა ნუ იქნებაო.

— მაშ როგორა ნებას, ჩვენც ათ საათამდე ვიწვეთ და ცალ-ცალკე ვახილოთ თვალები?

— ჩუმათ დედილო, ვგონებ იღვიძებს!

— არამც გამოუღვიძია! მაგის გულისთიფს ოთახში ვეღარ გაგვივლია.

— ლეო! მოისმა გაბრიელის ოთახიდან.

— აი, გესმის, ორივე თვალთ გაუღვიძია.

ლეომ მოკრძალებით შეღაო კარები და შე-ვიდა. გაბრიელი ჯერ კიდევ იწვა და ზანტათ მორებოდა „ისეღორა დუნკანსავით“, როგორც თეთონ ეძახის.

— ერთი დიდი სარკე უნდა შემომიტანო.

— ხელავ!

ლეომ დიდის გაკვირებით შეიტანა გაბრიელის ოთახში უზარ მახარი კედლის სარკე.

— რაქნა, რატომ არ გამოდის, შეილო? ამ-დენი ხანია საუხემ მხათ არის. ვგონებ ჩქარა სა-დილობის ღროა. რა დამეართა რომ არ ვიცი?

— საათ ნახევარია სარკესთან ზის და რაღაცას აკეთებს დღღ. არ ვიცი, ვერც მე ვერაფერი გაგიგე.

— ფერ უმარულს ხომ არ იკეთებს ნეტავი?

— ვგონებ არც უშავისობა!

— ეს რა ხათაბალა შეგვემთხვა, ღმერთო დიდებულო!

— ახლა წუხილი აღარაფერს უშველის დე. დიკო. ეს ორი თვე როგორმე უნდა გავუძლოთ ამწვიდებდა დედას უფროსი ვაჟი.

— რას ამბობ ბიჭო? ღმერთმა დაიფაროს მაგის ორი თვით აქ დარჩენა!

— რაქნა, ძალათ ხომ ვერ გავაგდებ და თავისი ნებით არ წავა!

**მეორე დღის საღიღწე.**

— ქართლი ამ მხრივ ჩამორჩენილია!—დინჯათ დაიწყო გაბრიელმა— შარშანდელი ზაფხული კნენინა ფეფოსთან გავატარე ქვიშებით და ლამის შიმშილით მომკლეს.

— ქართლები ბურ-მარლი ჩვენში ნაქეზია.

შენიშნა ნიკოძე.

— ბური და მარლი რამდენიც გნებავს, სხვა კი არაფერი.

— რითაც შეუძლიათ, იმით სცემენ პატრეს. ჩამოურია კატო.

— რასაკვირველია, მაგრამ ყველასთან ერთგვარი მოპყრობა არ შეიძლება: მეც სტუმარი ვარ და ივანე ხილამეც. მე თუ კი ვეცი უდიდესი პატრივი და სამი თვის ჩემთან მუსაიფი ვაჩუქე, სამაგიეროდ ამის შესაფერი უნდა იყოს.

— ძნელია უცნობი პირის ხელის შეწყობა. ყველაფერს ისე რასაკვირველია ვერ აუსრულებ, როგორც მას ესიაზოვნება. გამოეპასუხა ქინკატო.

— როცა ვერ სცემ შესაფერ პატრეს, ბოღნიში მიხეც უნდა მოიხადო. ჯერ შორს არის ის ბედნიერი დრო, როცა გერმანიის სტუმართომოყვარებობა და თავაზიანობა ჩვენში ფეხს მოიკიდებს. წარმოსთქვა გაბრიელმა.

**მეათე დღის.**

— რაზედ დავიძახა, შვილო?

— გააჩუქე, დედი, ეგ ბავშვი. — ჯერ მთელი ღამე ძილი დამკარგვია და ახლა ფიქრს მიწლისო...

— რავე, ხომ არ გაგიცემულა ვიღაცა ოხერია!

ჩილი ბავშვი იტრებს მაშ რასა...

— პოლა ისიც მაგას ამბობს...

— მერე?

— მერე ისა, რომ ამ ორი თვით უქირავეთ ვინმე ძიდა და წიყყანეთ საღმე ახლო სოფელში, ნეთუ არ შეგიძლიათ საქართველოს უდიდეს შვილს ორი თვით მკუდრობა მისცეთო.

— რას ლაპარაკობ ბიჭო, ვილაც მოთრეული უსაკმურის გულისთვის ბილანას გადავადგებ? რატომ არ აეთრევა, აგერ მეთორმეტე საათი დაიწყო.

— არც პირველზე აპირობს მგონი. — უძილობა თვალზე სწყევნსო.

— უთხარი მამაშენს, რავეც მოათრია, ისე გადაათრიოს აქედან. ვილაც ვიგინდარა კი არა ჩემიანის რჩენა მემწელება.

— რას ლაპარაკობ დედილო! საწყალი მამა წუხელ ისე გააბრუა ლაპარაკით, რომ მთელი ღამე თავი სტკიოდა. დღეს აღარ ვიცი სამსახურს როგორ გაუძლებს.

— აგია ბიჭო, შენი ფილოსოფოსობა?

— კარგი, კარგი დედიკო, ვინ იცის, იქნება მართლაც თითონაც ქე ისინდისოს და წავიდეს.

— არა შეილო, მაგას ამფერი ნიშანი არ ეტყობა. ამხელა კაცი სხვას რავე უნდა ჩამოეკიდოს მუქთა ხორათ და თუ ჩამოეკიდება გაჩუმდეს მიხეც.

**პირველი თვის ბოლო.**

— ახლა რაღა მიხდაო?

— აღარ ვიცი ღმერთმანი, რა წყალში ჩავარდე! ღამე ჩამიჯდება და ლაპარაკ აღარ ვაათავებს. მოშორება ქე მცხვენი. ვზივარ და ვუზღებ ყურს. გადის თორმეტი, პირველი, მეორე... ვწვემი გათენებისას და უნდა წამოვხე ორი საათის შემდეგ. თითონ კი ხვრინავს პირველ საათამდე.

— აღამიანო, აღარ ფიქრობს წასვლას?

— რის წასვლა, რას ლაპარაკობ! წელან მითხრა: — კარგი კი იქნება თქვენი მუდღე თუ დასკლის ამ ოთახს, რადან ერთ ოთახში პაერი ცოტაა და სუნთქვას მიძნელებსო.

— სხვა არაფერი უნდა?

— ნუ გეშინია, არც სხვაზე მოიმორცხვებს. — დღეს ინდოურის საცივი ვაყეთეთ და მეოხზე ნომერი „კახეთის“ ღონო იყიდეთო.

— ხვალ მე პერევისაში მივდივარ დედასთან, შეილებიც მიმავს.

— ეს მართლა ჩინებული აზრია. ლეოს თფი-  
ლისში გავგზავნი. ალბათ მიხვდება, რომ დასტანჯა  
მთელი ოჯახი.

იმედინათ შენიშნა ნიკომ.

**მეორე თავი.**

— თქვენი სახლობა რო წაიდა, ცოტა ნერ-  
ვები დამიმშვიდა. დარბაისელური კილოთი წარ-  
მოსთქვა გაბრიელმა და ღონივრათ ამოისუნთქა. —  
ჰაერიც თითქო მეტია ახლა.

— ხვალ კიდევ მეტი იქნება. ლეო ქალაქს აპი-  
რობს.

— ოჰო, ჩინებულია! ჩემი ტუფლები არ დაა-  
ვიწყდეს ვანოსთან არის დატოვებული.

— აქ აღარ ჩამობრუნდება, პირდაპირ იქიდან  
მოსკოვს წავა.

— წავა, კი წავა, მაგრამ ტუფლებს ვიღა ჩამო-  
იტანს?

— რა გავწყობა, როგორმე უნდა მოვახერხოთ.

— კარგია, თუ შენი ტუფლები მერგო, მაგ-  
რამ ვიწრო, ან დიდრონი რო დარჩეს? მართლა აქ  
არის იქნებ ვინმე შეჩქეპე? დაიბარე ხვალ დილით  
და შეუკვეთე.

**მამის კვირის შემდეგ.**

— ლეო ძლიერ საჭირო იყო თურმე ჩვენი  
კეთილდღეობისთვის. შენ საქმე გაქვს და მე კი  
ჩემის ხელით პირის ბანას მიჩვეული არა ვარ.

— ხვალ დილით მეც ქუთაისში ვარ დაბარე-  
ბული. ორი კვირა დაგრჩები.

— როგორ, მამ შე თქვენი მოურავი ვყოფი-  
ლვარ, ან დაგამადლილით. იცით რომ თავისუფლე-  
ბა მიყვარს და საგრებლობთ ჩემი სისუსტი. დღეს  
სადმე ერთი ჩვილი გოჭი იყიდ და შეაწვევინე.  
მიკვირს ზოგიერთს რატომ უფრო უყვარს მოხარ-  
შული გოჭი. ყვივანის ღვიზოს აქებენ მგონი. ხუთ-  
მეტოდე ბოთლი დასტოვე წასვლისას, თორემ ამ  
ორ კვირას უზიარებლათ დაგრჩები.

**დასასრული.**

— მოახსენთ დისასლის და თქვენს ბატონს,  
რომ სამწუხაროთ დრო ნებას არ მაძლევს კიდევ  
რამოდენიმე დღით დაგრჩე და მათ უკანასკნელი  
დღის სიამოვნება მაინც მივანიჭო ჩემთან მუსიკით.

დიდის რიხიანობით ეუბნებოდა ბ-ნი გაბ-  
რიელი ნიკოს მსახურებს. — თუ ამ სალდათობას

გადაურჩი უპატივემულოთ არც შემიძნეში დაეს-  
ტოვებს და ზაფხულს მუდამ ვქვეყნებ. ეხლა სა-  
ჭიროა თქვენ ერთმანეთ შორის ჩემთვის სამგზავრო  
ფულზე მოაგროვოთ. მუშები მუდამ ტრამბაზობთ  
და აი ახლა მოგეცათ შემთხვევა მონაწილეობა მიი-  
ღლოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღორძინებაში.

ემშაკ ნიკოს უკვე დეტოვებია მსახურთათვის  
საჭირო გზის ფული და სწორეთ მესამოცე დღე  
ჩვენი მოღვაწე გაბრიელი თფილისისკენ გამოემ-  
ზავრა საღამოს მატარებლით.

**ემშაკი.**



**პატარა ფელეტონი**

**მაღლობა ღმერთის**

ქართველ-სომეხთა უთანხმოებას უკვე ბილი  
მოელი. დღეიდან ორ ნათესავ და მეზობელ ერთ-  
შორის აღარავითარ უსიამოვნებას ადგილი აღარ გქ-  
ნება. „პრობრონი“ და „სახალხო ფურცელი“ ერთ-  
რედაქციით გამოვა.

რა მოხდა?

უღიღესი ამბავი ჩვენს ცხოვრებაში. ქართველ  
ერის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ არჩილ ჯაჯანაშვი-  
ლის მოთხოვნილებანი, გამოთქმულ უკედავ წერილ  
ში: „რა ხ ეღაგებია ქართველები სომეხებზე?“ და მო-  
თავსებული „სახალხო ფურცლის“ 624 ნომერში  
სავესებით მიიღო სომხეთის ერმა. არა თუ მიიღეს  
რედაქციით, რომელსაც ქართველი ერის კანონი  
რი წარმომაღვენელი მათ უკარნახებდა, პრიპიით უ-  
ღვეც შეავსეს სხვა და სხვა, ჩვენთვის სასარგებლო  
კომენტარებით.

გავეცნოთ საკითხს მუხლ და მუხლ.

**მუხლი პირველი:**

უმთავრესი ძარღვი ქართველ-სომეხთა უთან-  
მოებისა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს უნი-  
კერესი პუბლიცისტი „სახალხო ფურცლისა“, მდგო-  
მარეობს შემდეგში:



— თფილისი საქართველოს დედა-ქალაქია. — ამბობენ ქართველები.

— თფილისი კავკასიის ძველი ქალაქია, — ამბობდნენ სომხები.

ლიახ ამბობდნენ, ვინაიდან არჩილ ჯაჯანაშვილის წერილის შემდეგ „სომხური საზოგადოებრივი აზროვნების ფიზიკურმა წარმომადგენელმა“ გაზეთმა „ჰორიზონმა“ ბრძანა:

— დღეიდან ქ. თფილისს ეწოდოს: „საქართველოს დედა-ქალაქი უძველესი ტფილისი, მდებარე მდ. მტკვრის ნაპირად, სოლოლაკის ჩრდილო-დასავლეთით“.

ამგვარათ უმთავრესი მიზეზი სომეხ-ქართველთა უთანხმოებისა უკვე მოისპო.

**მუხლი მეორე.**

— არსებობს საქართველო, როგორც განსაზღვრული გეოგრაფიული ერთეული.

ვაშობთ ჩვენ ქართველები.

„ჰორიზონმა“ ეს მუხლიც გააფართოვა ჩვენდა სასარგებლოთ. სახელდობრ აი ასე:

— არსებობს საქართველო, როგორც გეოგრაფიული ერთეული, მდებარე 41—43 გრადუსთა შორის ჩრდილოეთ სიგრძისა და 16—10 გრადუსთა შორის აღმოსავლეთ სიგრძისა“.

კამათი ზედმეტია. ვინ უნდა იყოს ისეთი ქართველი, რომელმაც ამახ ორივე ხელი სიამოვნებით არ მოაწეროს.

**მუხლი მესამე.**

— საქართველოსა აქვს პოლიტიკური ინტერესი. ამბობენ ქართველები.

— საქართველოსა აქვს პოლიტიკური ინტერესები, ჰყავს მრავალი პოლიტიკური დამნაშევე და შეუძლია იქონიოს ეკონომიური ინტერესებიც.

განმარტავს მესამე მუხლს ვაზ. „ჰორიზონი“.

**მუხლი მეოთხე.**

— ქართველებისათვის უპირველესად ყოვლისა არსებობს ცნება საქართველოსა, რომლის ადგილსაც ვერაფრითარც სხვა ცნება ვერ დაიჭერს.

ამბობს ბ-ნი ჯაჯანაშვილის დეკლარაცია საქართველოს უფლებათა შესახებ.

გაზეთი „ჰორიზონი“ ამ მუხლსაც საეცებით ღეფულობს და დასძენს:

„მოისპოს ხმარებაში სიტყვები: ივერია, გრუზია, გეორგია, გურჯისტანი, და სომხური გამოთქმა საქართველოსი“.

ამასთან ერთად „სომხეთის საზოგადოებრივი აზრის ფიზიკურმა დარაჯმა“, გაზეთი „ჰორიზონის“ რედაქციამ განსაკუთრებული ცირკულიარი გაუგზავნა „საქართველოს დედა-ქალაქის ტფილისის“ მოურავს სანდრო ვანოს ძეს ხატისაშვილს, რომ თავის სიტყვებში მან უცილობლათ იხელმძღვანელოს ზემო აღნიშნული განმარტებებით და ააცილოს სომხის ერს ის უბედურობა, რომელსედაც წინააღმდეგ შემთხვევაში უთითებს საქართველოს წარმომადგენელი ბ. არ. ჯაჯანაშვილი.

ბ-ნი ჯაჯანაშვილი კი აი რას წინასწარმეტყველობდა:

„მაშინ ძალია ქართველების წინააღმდეგობისა უფრო გაიზრდება და სომეხ-ქართველთა გამწვავება უკიდურესობამდე მივათუ ახლა ასეა, შემდეგში უარესი იქნება, რადგანაც ქართული ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება უფრო გაიზრდება“).

როგორც ხედავთ ეს შავი არჩილი მომავლისა იხე ვაჰქია, როგორც საღი მოსაზრება ბ-ნი ჯაჯანაშვილის წერილებში. სომხებმა საეცებით დააკამოფილეს „სახალხო ფურცლის“ ჩიტირკიცა“ პოლიტიკოსების მოთხოვნილება, ვინაიდან ის სადაო არასოდეს არ ყოფილა.

შორიელი.



# ჭრელი აეზები

მიუთხვევალი შიხლომა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ძირიან-ფესვიანათ ააღვლევა ერთმა მოულოდნელმა ვარემოვებამ. თურმე, ჩენი ჟურნალის ხელმძღვანელი და თანამშრომელი „თავუნა“, არც მერც, არც ნაკლები, ი. ზარდალიშვილი ყოფილა!

ბ-ნი ეშმაკი ერთობ განცვიფრებული დარჩა, როცა ხარფუხოვის კლუბში ბ-ნმა ზარდალიშვილმა

\*) სიტყვა თფილისსაც „ჰორიზონლებში“ დღეიდან „სახალხო ფურცლის“ მსგავსად „ტფილისად“ სწორენ.

\*\*) არ გაზარდოს ჩემმა გამგენმა!

ეშმაკი.



წაითხა თავისი ლექსები: „საშურის“ შესახებ, „ფულტურისტების მიხატვა“ და სხვ. ეს ლექსები და თვით ფსევდონიმი დღემდე თურმე ქურდულათ მითვისებული ჰქონდა ერთ-ერთ პირს, რომლის ვინაობას აქ აღარ ვასახელებთ. ვინაიდან ისიც ეყოფა სასჯელათ, რომ გაიგებს რაზომ სახიფათოა სხვისი ნაწარმოების მითვისება.

თუ ეს მართლაც ასე არ იყოს, ბ-ნი ზარდალიშვილი უთუოდ იტყვოდა, როცა აღნიშნულ ლექსებს კითხულობდა ჯერ ხარფუხოვის და შემდეგ ახალ კლუბში, რომ ეს ლექსები „თაგუნას“ ეკუთვნის და მე „თაგუნა“ არა ვარო.

სჩანს ჩვენ იმდენ ხანს გვატყუებდენ.

**გამოცნობა მართლაც ძველი ჟღერდა.**

გაზეთი „სამშობლო“ ჩვენზე უკეთეს პირობებში დიხავდა არ არის, ჩვენ თუ „თაგუნა“ სხვა გვეგონა და ნამდვილათ კი ბ-ნი ზარდალიშვილი აღმოჩნდა, „სამშობლოს“ პატივცემულ რედაქციას გრ. გველესიანი, ი. გრიშაშვილი და სხვ. ქართველები ჰგონებია. ეს შეცდომაა. კარგა ხანია გამოაშკარავდა, რომ ბ-ნი ი. გრიშაშვილი სომეხი ყოფილა, ტრაპიზონის ვილაეთიდან, ხოლო გრ. გველესიანი კი—ქურთი. დანარჩენების შესახებ ზემო აღნიშნული რედაქცია ცნობებს აგროეებს „შშკისა“ და „ჰორიზონის“ დახმარებით.

ხალხში შემადრწუნებული ხმები დადის. ქართველ დედაკაცებს, (უმთავრესად ხანში შესულთ, ე. ი. ქმარ-შვილიანებს) გადაუწყვეტიათ უკანვე მოსთხოვონ მგოსანს ი. გრიშაშვილის ის „კოცნა“, რომელიც მათ მისთვის უსესხებიით.

ან კი რატომ უნდა შეარჩინონ ვიღაც გადამთიელ სომეხს! ეროვნული თვით-გამორკვევა ჩვენს მაღალი წოდების კეკელებშია იკიდებს ფეხს.

ძირს მესამე დასი!

**დიდი თმა და გრძელი უღვაწეობა.**

თფილისის სახანაურო გიმნაზიაში მთელი თვის განმავლობაში ბრძოლა იყო გაჩაღებული, რასაკვირველია ბ-ნი ებიტაშვილისა და ა. მდივანის გარშემო, ფულგების უწესრიგობა მოხმარების შესახებ.

ამის გამო ბევრი დაიწერა, ხოლო ათჯერ ბევრი ითქვა, ასე რომ კითხვა უკვე გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს: ებიტაშვილმა ვაფლანგა ფულგები, მდივანმა ვერ დაუშალა. საქმე ამით დაბოლოვდა.

სამაგიერობა, სწავლის სწრაფობა, მომავალში სასურველათ სწარმოებდეს, დიდიხმებს რომი მასწავლებელი. ბ-ნი ქადაგიძე (გარიტრაზე) გრძელი უღვაწეობის ტარებისათვის, ხოლო ბ-ნი ახმეტელაშვილი—დიდი თმისათვის, ვინაიდან თანამედროვე აზრის მიხედვით დიდი თმა ნიშანია ერთი მიმართულებისა.

**ტანს გავლენა.**

გაზეთ „საქართველოს“ უკანასკნელ ნომერში მოათავსებული იყო მშვენიერი წერილი ჩვენი ცნობილი აგრონომის ბ-ნი გ. ქ—სა „ტყე“.

ავტორი სამართლიანად უცაცხანებდა ჩვენი ქალაქის მამებს, რომელთაც ვერ შეინახეს თფილისის გარშემო ვახტანგ გორგასლანისაგან დატოვებული ტყე და ამასთან ერთად აღნიშნავდა იმ საარგებლობას, რომელიც მოაქვს საზოგადოთ ტყეს.

ამ აურაცხელ ფაქტებს მე მინდა დავსძინო ერთი, სრულიად ახალი მავალითი. სახელდობრ: **რა გავლენას ახდენს ტყე მგოსანთა დაქანცულ აზროვნებაზე** საილიუსტრაციოთ მოვიყვან „სახალხო ფურცლის“ მე-626 ნომერში მოათავსებულ ბ-ნი ი. გრიშაშვილის ლექსს.

წალღერის ტყეებს ჩვენს „ვენებათა მგოსანზე“ პირდაპირ მაცოცხლებელი გავლენა მოუხდენია და თავის მშვენიერ ლექსს ასეთი მარგალიტებით აღმოვლოვებს:

„მე აქ დავიდგამ—მხოლოდ აქ! აქ—  
მგოსნურ გვირგვინსა,  
აქ მიყვარს ბოღვა კახულ ენით,  
რადგან ჩემს ტვინსა  
არა აქვს ფიქრი აზრიანი, დარბაისლური“.


წალღერი.

ი. გრიშაშვილი.  
(„სახ. ფურც.“ № 626).

ვერ აგვიახსნია მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა: ტყეთა სივრცის შემცირებასთან რათ იმატა ჩვენში მგოსანთა რიცხვმა?!

ხომ არ იხებებს ჩვენი პატივცემული აგრონომი ბ-ნი გ. ქ. ამ საკითხზე ერთი „ვიცე მეთაურის“ დაწერას? ჩვენ რასაკვირველია მაღლობელი ვიქნებით.

მანათი.





# ერთი გავლით

(გვანი)

კვირა დღეა. ტანჯული გულის გასართობით გავეშურე ჭვანის ძველი სამკითხველთაჲს. მიდევარ წელი ნაბიჯით, თავ-ჩაქინდრული. ქალწულვით სასუსეა ჭვანის მარად ეპ მხიარული ქუზები. ყოველი მხრიდან მოისის სხვა და სხვა ჰანგზე ულის აპალღევებელი სიმღერები. გულ-დათუთქული განგზორდი მათ ნადრეზე ზეიმს, და გავეშურე გმყულე ალაგისაკენ, ვით მწირი მიყრუებულ უდაბნოსა. ის იყო უნდა დამეტოვებინა ის წყევლი ალაგი და განმეგრძო სველით მოცული გზა, რომ უეცრივ შეიშაშა მებზობელ ეზოდან ქალწულთა სვედიანი სიმღერა, რომელმაც ცოტა არ იყოს მეც ამართოლა. საჩქაროთ მივიწიე ყურის დასაგდვით. გულ-დასმით მიწლიდა გამეგო მათი გაკვირება. აი როგორი „მწუხარება“ და „გლოვა“ ისმოდა მათი სვედიანი სიმღერიდან:

ოხ, რა დღეში ვიმყოფებით

ვია ჩვენი ბრალი,  
თან და თან გულში გვიღვივა  
გიჟურ ტრფობის ალი.  
დაგვებნა და დაგვეღართა  
სიყვარულის კვალი, —  
სატრფო ომში გაიწვიეს  
და დაგვიფეს თვალთ.  
რა ვქნა აწი, სად წავიდეთ  
წყვეულ-ეულები,  
ტრფობის სხვიით დანამტვრალნი,  
ლანდათ ქცეულები.  
ვინ გავვიწვეს მფარველობას,  
სად ვიშოვოთ ცალი,  
დაგელოცოს, ღმერთო, შენი  
დიდი სამართალი.

—  
იქიდანაც მალე ვქვენი  
სახლისაკენ პირი,  
და მას შემდეგ გულ მოკლული,  
იმ დღის ხალხსა ესტირი.\*)

ჭვანელი ბზიკი.

# გზა და გზებზე

(სიტყვების ასრენ) ლინთიქა


ბალახანა. ამხანაგობა „ღარიალ“ ორი სიტყვი-საგან შესდგება. პირველი სიტყვა „ღარი“ შთამომავლობით რუსულია. ქართულათ — ანუქე, მეორე სიტყვა „ალ“ თათრულია. ქართულათ — აიღე. ამიტომ ადვილი გასაკვბია, თუ აქ რაზედაა ლაპარაკი. მუშა

ერთგულად ეკადება, თუმცა მართალი რომა ესთქვათ ხაზენიკ პირნათლად ასრულებს უქანასქნელი სიტყვით დაკისრებულ ვალდებულობას და ნაწუქრის აღებზე უარს არ ამბობს. აღბათ მუშის თავმოყვარობის შელახვისა ერიდება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მუშებს ბევრი ვერაფერი უჩუქებიათ. სულ რაღაც ორმოცდა ათას მანეთამდე ყოფილა წარსული წლის ამხანაგობის მოგება. აქვე დამეინტერესა გავება იმისა, თუ რა და რა ორგანიზაციისაკენ მისწრაფიან ამ სისხლის წვიმების დროს ჩვენი მუშები და სოამოვენებით შემოქლია აღენიშნო, რომ გრუზინსკოვლებში ზოგიერთ მოსამსახურეთა და მუშებთა შორის ძლიერია ლატარიის მოთამაშეთა ორგანიზაცია. რა ვინდა, რომ აქ არ გავთამაშებოთ: გარმონი, ძველი შარვალი...

გორაკოველებში კი ძლიერია მშვენიერი ქესის მიმდევართა პარტია. ამბობენ, ლანდფერნი და ლანდშტურმნი რაზმებიც ყავთო. ცხენების სიძვირის გამო კავალერია არ ყავთ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ორგანიზაციებს საზოგადოთ რამდენიმე ვირი ყოველთვის მოეპოვება და მაშასადამე რამოდენიმე მათრახიცაა საქირო. ბ. ეშმაკი რომ მის თილისმინა მათრახს შეეღეოდეს ხომ ყველას ეყოფოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვფხის ტყაოსნის მკვლევარმა ბ. კაკაბაძემ აგვიწეროს რისგან დაწული მათრახი მისცა წარსულ საუკუნეში შოთა რუსთაველმა ტრანელს, რომლითაც ეს უქანასქნელი სასწაულს ახდენდა და თუ არც ეს შეიძლება, ვინაა ქრისტიანი, რომ დაგვავალოს და ამ გვარ შემთხვევისათვის საქირო მათრახის ნიშნულში დაგვიხატოს.

ღია.

\*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ბეჭდავს ამ წერსს და თანაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან ძველებური ტირილი უამე გადავარდა მთელს იმერეთ ამერეთში, ამგვარი წერილები იშვიათად დაიბეჭდება. მკითხველებს თვალში გაუფხუბდება, სხვა რომ არა იყოს რა.



თ.ა.შ.

## თელავი

როდესაც საზაფხულოთ თელავისაკენ გამოვემგზავრე, სახეში მქონდა პატარა, პროვინციალური ქალაქი, სადაც ასე თუ ისე შეუძლია გაჭირებულ კაცს ზაფხულის სამი თვე მაინც გაატაროს.

მაგრამ, როცა მე თელავში მოვედი, რამოდენიმე დღე ვიცხოვრე, აქაურობას თვალი მივავლმოვავლე, მყის შევნიშნე ჩემი მიუტყეველი შეცდომა. პატარა თელავი არა თუ მარტო უბრალო სამაზრო ქალაქია, არა, ათასჯერ არა... ის საუცხოვო აგარაკი, წმინდა ევროპიული კურორტია.

მერმე საღ იყვენ ამდენ ხანს ისინი, ვისაც ბედმა ჩემზე აღრე არგუნა თელავის ნახვა? საღ იყო „კავკასიის მოაგარაკეთა საზოგადოება“, რომ ვერ შენიშნა ეს მარგალიტი ალაზნის ველისა და თვალი სრულიად კავკასიისა! მოდი და ნუ აღშფოთდები, ნუ უსაყვედურებ მათ, ვინც უკვე იცოდა ქ. თელავის არსებობა და დღემდე ამის შესახებ ხმას არ იღებდა, ცხრა მეთედს ქართველობისას უმაღავდა მის ღირსებებს.

მე დაფარვა არ შემოძლია!

გაშენებულია ეს ჩინებული აგარაკი (ნება მიბოძეთ დღეიდან მას „აგარაკი“ ფუწოლო) საუცხოვო თელა-წარმტაც ფერდობზე და ფეხის შემჯეგბი-

სათანავე თქვენს გრონობებს ჰხიბლავს ქალწულგებრივი სიწმინდე ჰაერისა, რომელსაც არ გაჰყარებია ქვეყნის გაჩენიდან არც ერთი ნამტეცი მტვერისა. (იხილეთ სურათი 1).

გულშემატკივარი, გულკეთილი და გულმოდგინე დიასახლისები ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობენ აგარაკს სახელი გაუყეთონ და ამ მიზნის მისაღწევათ ისინი დედობრი-



ვის მზრუნველობით ექიმობენ ყველა გამვლელ-გამომვლელს ცნობილი კნეპის სისტემის მიხედვით: თფილი თუ ცივი წყლით. (იხილე სურათი 2.)

ყოველგვარი ტალახი: წყალტუბოისა, აბტალი-სა, ევბატარიისა, შეუდარებელია თელავის ტალახებთან, რომლითაც მკვიდრნი და მოაგარაკენი ხელგაშლით სარგებლობენ სრულიად უსასყიდლოთ (იხ. სურ. 3).

სრულიად უფასო და უმაგალითო გიმნასტიკური საფარჯიშო აქვს ყველა მოაგარაკეს ქალაქის განაპირა უბნებში, ზოგჯერ თვით „ბულვარის“ მახლობლათაც, მაგრამ ასეთი ვარჯიშობა ექიმთა დაუსწრებლათ არც თუ სრულიად უხიფათოა. (იხილე სურათი 4).

ადგილობრივი მცხოვრებნი ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობენ ხელოვნურათ შეავსონ და შეაზავონ ისედაც აზონით მდიდარი ჰაერი აგარაკისა, სხვა და სხვა უფაქიზესი სურნელოვანებით (იხ. სურ. 5, გვერდი 16).

ყოველივე ამის შემდეგ, გამოვა ვინმე რეგენი და იტყვის: ქალაქის მამები უმოკმედოთ სხედან, მათ სალათას ძილით სძინავთო (იხ. სურ. 6, გვერდი 16).

ჩვენ ვეცდებით კვლავაც მივაწოდოთ მკითხველებს ცნობები ამ ახალი აგარაკის შესახებ.

ოსკარ შლინგი.



## ბახზაროს

ბუნების ძალთა უსაზღოვების  
 არსო ხმელეთის თაიგულთათა,  
 აგარაკთ შორის უპირველესო,  
 მათი მფეფობა გშვენის სრულთათა,  
 სიტურფეს შენსა სრულად ვერ ასწერს  
 არა თუ ჩემი უბრალლო ენა,  
 ვფიქრობ: მგოსანიც ვერ შესძლებს ამას,  
 და პოეტური ზე აღმაფრენა.

მე მხოლოდ ვიცი უცხო ქვეყნების  
 ბაღია-წალოკის სხვადასხვა მხარე,  
 რომელთა ნახვა მარგუნა ბედმა,  
 შემთხვევა მქონდა და მოვიარე:

„ტყე-ბულონისა“, ფრანგთა შამბნარი  
 და „ჰაიდ-პარკი“ ბრიტანიაში,  
 ჩრდილო-შტატების „კალიფორნია“,  
 თვით ამ ედემში, კარებ-ლიაში,

ვიყავი, მარა იქ არ მიგრძენია,  
 რაც შენით ვიგრძენე და განვიცადე.  
 თვალთა წარმტაცი სიტურფის ჯადო,  
 გულთა მხიბლავი გონების ბადე,

შენ არ გაკლია ბუნების ჯილდო,  
 მარა გაკლია პატრონის ხელი,  
 არც გზა და კვალი, არც მწყემსის თვალი,  
 ნახირს მოუყავს მთა-ტყე და ველი,

წვიმა ნამვის ტყის ზღაპრული ფორმით,  
 სხვათა ხის მზგავსი ედემს რგულისა  
 უმხეთით ნაკაფი ვერავი ხელით,  
 უხმოთ მომწყვეტი გრძნობა-გულისა.

ნახულის მგმობელ მნახველისათვის,  
 აწ გაკვეთილად უნდა კმაროდეს,  
 რომ მცველმა შენმა შეცდომა კვალად  
 არ ჩაიდინოს შენთან აროდეს.

ნთუთ სალათას თავს ვერ დაახწეეს  
 შენი გუშავი თვალზე მძინარე,  
 მიუშვი მასზე მოსაფხიზლებლათ  
 შენი გიემფი „ბახვის“ მდინარე,  
 რომ გაბრუებულს დაჰპანოს პირი  
 ვერცხლის ქმწყვების ნაკადულითა  
 და მოუყვანოს თვალში სინათლე,  
 დაგებატრონოს იქნებ გულითა.

შენ ფიქრთა ნისლით თვალზე მჭედილი  
 დააზარე „გურიელთ-წყარო“,  
 ვინ იცის შემდეგ სიცოცხლე თვისი  
 და მოვლაც შენი „ქე“ მოავგაროს...

დიდო საუნჯევე კაცთა ცხოვრების  
 დაუშრეტლო სიცოცხლის წყაროვ,  
 უკურნებელი სენის მკურნალო,  
 ედემის მსგავსო ჩემო ბახზარო!

შენს სალოცავთ მოვალ ყოველ წელს,  
 ვითა ხატობა რელიგიური,  
 რომ განვიწმინდო სენთა ცოდვები,  
 ნაცვლათ მივილო ძალი ციური,  
 მიილე მონის თაყვანსცემბა,  
 აწ შენის ნახვით მოხიბლულსა,  
 ტკბილო ოცნებავ უზრუნველთათვის  
 ნეტარამალამოვ სნეულთ წყლულსა...  
 უმაგალითოს ამ შენს ბუნებას  
 ვინატრი აჩნდეს კულტურის ხელი;  
 მე აგი მინდა ვით მრწამსი შემინდა,  
 ვით ახალს ძველი მე ამას ველი...

ბუტუნა.



## კვლი მკომპარი

ოჰ, როგორ გამებარდა, ღმერთო ჩემო, რო-  
 გორ გამებარდა!!! ჩემი დაბადება არ გამხარებია  
 ისე, როგორც იმის დანახვა. და ვინ დავინახე, ღმე-  
 რთო ჩემო, ვინ დავინახე!!! მიხეილის პროსპექტზე  
 რომ არ ვყოფილიყავ, სწორეთ სიზმარი მფგონებო-  
 და, მაგრამ... აბა მიხეილის პროსპექტზე მძინარეს  
 ვინ წამომიყვანდა?! სიხარული აგან გულმა ცახცახი  
 დამიწყო; მოგრთე ბტუნაობა, ყვირილი, ტაშის  
 ცემა... სიხარულმა კინადამ გამაგეფა. ჩემს ყურებს  
 აღარ ვუჯერობდი. რამდენიმეჯერ კიდევაც მაგრა  
 გამოვიჩიქნე: იქნება სხვა ვინმეს ვხვდავ და ყურებში  
 მატყულიებენ მეთქი! მაგრამ ამოაღ!..



აბა თუ გამოიკნობ, ვინ დაღინახე? ვინ გაახარა ასე უზომოთ ჩემი გული? ვერა? ვერ მიხვდი? რასაკვირვლია ვერ მიხვდები აბა შენ რას მოიფიქრებ, თუ ის გიბოი, რომლის მკერდს ორი ვეგებერთელა ვარსკვლავი ამშვენებს, როდისმე ჩემი ერთგული მეგობარი იქნებოდა?! შენ რას მოიფიქრებ, თუ მე აქ ჩემ ძველთაძველ მეგობარს, ილიკოს შეგხედებოდი, იმ ილიკოს, რომელიც აგერ ექვსი თვეა არ მინახავს. ოჰ, ძალიან გამეხარდა, ძალიან!

კიდრე მე სიხარულისაგან გონს მოვიდოდი, ის კარგა შორს წასულიყო. მოვიკრივე ძალ-ღონე გამოვლექტი ჩემს ილიკოს და თუმცა სიხარულისაგან ღონე მიხდილი ვიყავი, მაინც ჩქარა დავეწიე...

ილიკო! ილიკო! ინსტიტუტითა მივიძახე და მაშინვე მომავგონდა, რომ ასე დაძახება არ შეიძლება. აბა ვის გაუგონია პრაპორჩიკს „ილიკო“ დაუძახო?! ჩემი ბედი, არ გაუგონია, თორემ ხომ „ამაკატლებდა“!.. დასწყევლოს ღმერთმა! აი უბედურება: მაშის სახელიც სწორეთ ახლა დამავიწყდა! ილიკო სოლ.. აბა ილიკო პეტროვიჩი... პეტროვიჩი.

— ილიკო პეტროვიჩი.. ილიკო პეტროვიჩი! ისეთი ხმით დავიყვირე, რომ ყრუც მიხედებოდა დიდისა და მოკლეღუნდილი სიხარულით ვიყავი აღტყინებული. ჩემი ილიკო პეტროვიჩი შეჩერდა; გაისმა მომჭადობელი ხმა-ღმეზა ჩხაკუნი, პირი ჩემსკენ იბრუნა.

— საიდან? როგორ, — ჩემო ილიკო? ოჰ, რომ იცოდე როგორ გამეხარდა.. მივეგებე მეგობარს და მოვემზადე გადასახვევით, მაგრამ.. იმან ისე მრისხანეთ შემომხედა, კინაღამ იქვე დავეცი...

— გამარჯობა კაცო! ველარა მცნობ?..

— პოშოლ ვონ, წვედიანი!

— ილიკო პეტრ...  
— მალჩატ ილიოტ! კაკოი ტი პრავა იმეშ მენე ასტანავიტ? ა? — დამიღრიალა გულის სწორმა, ერთიც როგინათ... და გასწია თავის გზაზე. მე გავშეშდი. როცა გონს მოვედი კვლავ გამოვუდექე და მალეც დავეწიე.

„უსათუოდ ქართული დაავიწყდებოდა, არ ესმის ჩემი ლაპარაკი“ გავფიქრე გუნებაში და მყის გამოვაცხადე მოპოლიზაცია მთელი ჩემი რუსული სიტყვებისა და ისე მივიპარეთ მეგობარს.

— რაზი ვი მენე ნი უზნაიოშ, ილიკო პეტროვიჩი?

— უბრალოა ვინ! ნიღუქა... ჩვენი პრისტალე? ბალვანს! — ციდე დამიღრიალა ილიკომ და თანაც ისე მაგრა დაატყაუნა ფეხები, რომ სხვა, სუსტი გულის პატრონი, შიშით წაიქცეოდა. ცოტა მეც შეფიქრინანი. სიტყვა „პრისტალე“ მა გული გამიხეთქა. „თუ მართლა დაუძახა პრისტალეს, ჩემი საქმე ცუდათ წავა: ბაშფორტს გუშინ წინ ვადა გაუფიდა და უსათუოდ ციხეში ჩამსამენ“ მეთქი გავიფიქრე და დაუსწე ხვეწნა ვედრება...

— რაღი ბოლა, ვაში ბლაღაროდა გასპადინ პრაპორჩიკ, რაღი ბოლა პრისტალე მა პაზავიტ! შე თითონ პადლონ... ვეხეწებოდი და ვაპარებდი კიდეც დაჩოქებასა და ფეხებზე კოცნას, მაგრამ ამ დროს უცებ ერთმა მშვენიერმა, მოკლე კაბით მოთუღმა ბარისნამ გაგიღრინა, და ჩემი ნამეკობრალის ყურადღება მსწრფულ წარიტყა. ის რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის რა დამემარჯობდა. ჩემ მეგობარს ერთი ფეხი და ეღვა მოთინებაში და თუ ისიც ამოვლო, შენი მტერია კი დღეს არ დამაყენებდა. ახლა-კი, ყურების აწევაც მაკმარა. ისე მაგრა ამიწია ორივე ყურები, რომ კინაღამ დამაგლიჯა... რაღა კინაღამ, დღესაც ეჭმითან დავდივარ. სირცხვილმა დამავიწყა ტკივლი. მივიხედ-მოვიხედ ხომ არავენი დამინახა მეთქი და უნდა გავტყუელებიყავი მაგრამ... საღ გაიტყვი, მთელი ტუჩა სულ სიტოლ-ხარხარათ იყო ნაქცევი. იცილოდა: ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ქვები და კელღებიც. ავიფარე პარზე ხელები და მოკეუსლები შინისკენ. სირბილისაგან დაღლილ დაქანცული, სახლში მისვლისათანავე უგონოთ ძირს დავეცი.

როცა გონს მოვედი მომავონდა ის დროც, როდესაც მე და ილიკო ერთგული მეგობრები ვიყავით, როდესაც ერთმანეთს ხშირათ ვეუბნებოდით: „უშენოთ ერთ საათსაც ვერ გავძლებო“.

— „ეხ, ჩემო ილიკო — ფიქრობდი მე — ნუთუ დავავიწყდა ჩვენი მეგობრობა, ერთგულობა, სიყვარული? ნუთუ დავავიწყდა ის დრო, როდესაც მოხვიდოდი და მეტყუდი: — „ბიჭო, ცოტა რამე გრა შები მომეცი, პურის ფული არა მაქვს“ — ო? ნუთუ აღარ ვახსივს ჩვენი პურ-მარილი? ერთად რომ მეხაშე ვიანკისთან გემრიელ ხაშს შევეტყუედი? ნუთუ... მაგრამ არა! ამის დავიწყება შეუძლებელია! აი ახლა-კი მივხვდი საქმე რაშიაც არის! საქმე იმაშია, რომ ილიკოს ყველაფერი კარგაა ახსოვს, მაგრამ იმ ბჭყვრილა გარეგნობას მისთვის თვალის



ჩინი წაურთმეგია, და ვეღარ მიცნო. ეჰ, ჩემო ილი-  
კო! კიდევაც ის დრო სჯობდა, როცა შენ ფეხები  
შიშველი, სამოსი რუხი და ჩამოგლეჯილი, მაგრამ  
თვალეზისაღი გქონდა, მაშინ მეგობრებს წაინც სცნობ-  
დი. ახლა-კი... ოჰ ღმერთო, რა ცუდი დრო დაგ-  
ვიდგა, რა ცუდი!! ახლა სიცოცხლეს სიკვდილი  
სჯობდა! კიდევაც მოვიკლავდი თავს, მაგრამ მეში-  
ნიან, ძალიან მეშინიან იმ ოხერი ჯოჯოხეთისა!  
ჩემის ყურებით არ მენახა, იქნება კიდევ გამებედა  
თავის მოკვლა, მაგრამ...

ამით დასრულდა ჩემი ფიქრები! ტკბილსა ძილ-  
მა მაგრა მომხვია თავისი ძლიერი მკლავები...

გიორგი.



მსაჯულთა

— ბატონო მსაჯულო! უქანასკნელი სიტყვა  
დამეპაშევის ეკუთვნის, ნება მომეცით ვისარგებლო  
ამ ჩვეულებით. საქმის ვითარება ასე იყო. ოთხ  
საათზე მატარებლით ჩამოველ ქალაქში ავარაკიდან.  
მეტათ კარგ გუნებაზე ვიყავ! თქვენც გეცოდინე-  
ბათ, თუ რა კარგ გუნებაზე დიდგება კაცი, რო-  
დესაც ცოლის ავარაკში გააბინავენს, მეტადრე იმის-  
თანა ეგვიანს, როგორც ჩემი ძვირფასი მეუღლე.  
უკაცრავათ დიად, დიად არ გადაუხვევ საგნიდან..  
ჩემთვის არ არის საქირო მაგნიირი შემობღვერა.  
ჰო, და ჩამოგბტი მატარებლიდან. მეტის სიხარუ-  
ლით რაღაც სიმჩატესა ვგრძნობდი. ქული ეყვანე  
მოვიდე და ღლინით შეველ პირველი კლასის  
ბუფეტში, ღლინითვე გამოვსწიე სკამი და მიუჯექ  
სასადილო მაგიდას. აღარ ბახსოვს რასა ვლინებ-  
დი.. ჰო, მართლა:

ნინა, ნინა ჩემო ნინა  
გათხოვება ხომ არ გინდა.

— მეგობარო, ამა ერთი სადილი გამიწყე-კობ-  
ტა, ლაზათიანი სადილი! მივმართე მე თეთრ ტან-  
საცმელში გამოწყობილ მსახურს, რომელმაც ჩემს  
გვერდით გაიცუნდრუკა.

— ახლავე ბატონო! იყო პასუხი. მეც დაეიწყე  
ცდა. მოვიგონე ჩემი ნაცნობი ენია, ვარია,  
მარო, დარო და სხვანი, რომელთაწინც ვატარებდი

მოღუნეს ცოლის უშიშროებაში. მსაჯულთა ოცნა  
წუთმა სწრაფად გაიარა... კვლავ მივმართე მსა-  
ხურს.

— კაცო, თუ შეიძლება მომიტანე სადილი.  
— ახლავე... სიტყვა „ბატონო“ დარბაზის  
მეორე კუთხეში-ლა დაათავა.

ჩემს გვერდით ორმა წყება პრაპორჩიკობამ  
ისადილა. მე დავთვალე ყველა ბუფეტში მყოფი  
პირნი, ჩემს პირდაპირ მოსადილეზე დავთვალე  
თუ რამდენი კოვზი წვენი ეტევს შეათანა თევზზე;  
დავთვალე, თუ რამდენი ელექტრონის ლამფა ეკი-  
და მთელს დარბაზში. ნახევარ საათი ამაში გავატა-  
რე. შემდეგ კვლავ მივმართე ლაქისა.

— შე ოჯახეტიანო, ნუ მომკალი მშვიერი  
მეტარება! მომიტანე რამ საქმელი.

— ახლავე, ჩემო ბატონო! იყო პასუხი.

ხომ ხედავ, ბატონო მსაჯულო, თუ რა მოთ-  
მინების პატრონი ვყოფილვარ. შემდგომ კიდევ  
ნახევარი საათი მოქნარებაში გავატარე. იანგარი-  
შეთ წუთში ორი მოქნარება. და ამის შემდეგ რო-  
გორ უნდა მოვქცევილიყავი, ბატონო მსაჯულო?  
ხომ უნდა მქმრო გიბიდან რევილვერი და მეტ-  
ყორცნა ტყვია ჯერ ბუფეტის პატრონისათვის. ხო-  
ლო შემდგომ ჩემი მტანჯველი მოსამსახურისათვის,  
რომელიც სადილის მაგიერ „ახლავე ბატონო“-  
თი მიმასპინძლდებოდა. არა, მე ასე არ მოვქცეულ-  
ვარ.

როდესაც, კიდევ ნახევარი საათის ლოდინის  
შემდეგ, მომიტანა მსახურმაწვენით სავსე თევზი და  
ამირებდა გაბრუნებას, მე შეეჩჩერე იგი, ახლო  
მოვიყვანე, თავი დავახრევი, ვითომდა სათქმელი  
მქონდა რომ, და თევზი შიგ თავში დავახალე.

და აი, ამისთვის მომიყვანეს თქვენთან, ბატო-  
ნო მსაჯულო! კარგი იქნებოდა, რომ წვენი ჩვეუ-  
ლებრივად ყნულღივით ცვიე არ ყოფილიყო და  
ქათამსავით გაეფუფქა ჩემი მტანჯველი.

ახლა თქვენ იცით, ბატონო, მსაჯულო! მე  
ყველაფერი ვსთქვი, რაც მეთქმოდა.

მსაჯულმა იგი გაამართლა.\*)

გაგული.

\*) მსაჯულს გააჩნია

# მოსენება

## ლახური

გვაქვს მხოლოდ ერთი კოპერატივი,  
მით გვინათლდება გული და სული,  
თავის როგზეა სულ ყველაფერი,  
შენობაც დავდგით გრძელი და სრული.

გამგეობა ხომ ჰყავდა და ჰყავდა  
სალი პრინციპის მატარებელი.  
კეთილი შრომით და სისწორითა  
იმათ შეუწყვეს ღუქნის ზრდას ხელი.

მაგრამ არჩევანთ დრო რო მოვიდა  
გამგეთვან დარჩა ორიოდ ძველი.  
მესამეთ იქმნა სხვა არჩეული  
ამა საქმისთვის არ სასურველი...

და იმ დღიდანვე მიჰყო მან ხელი  
საქმისა დაშლას, და წახეთენასა  
ამ საზარალო გრძნობით და მიზნით  
აქარტალეზდა ბოროტ ენასა...

მაგრამ ბევრი დრო არც მას დასცალდა,  
კვლავ კრება იქნა მუნ მოწვეული,  
და კეთილ საქმის ამსერელ დამსერელი  
უმაღვე იქმნა უკუშტეული.

ქვაზე დანათეს ვერვინ მოიძკის!  
ან ანწლში თაფლი ვის მოუნახავს?  
და ავი კაცი კარგ საქმეშიაც  
ცულს და მვენებელ გზას გამონახავს“.

ნანა.

## გულაუტი

დია ეშმაკი თუ შეყალოვს,  
მტერი დამაკლებს ვერასა,  
ვისაც სიმათლვე არა აქვს  
ნუ ელის ხსნას და შეველასა.

პირველათ ვაჭრებს ვეწვიოთ,  
ეშმაკის ქმას და ამქარსო,  
და გავაფრთხილოთ, ნუ მალვენ  
სახლში ფუთობით შაქარსო.

თანაც გვიბრძანონ: მანათი  
რათ მიიჭეთ აბაზინანში,—  
და თუ პასუხა არ მოგვეცვენ,  
გამოვიყვანოთ მიზანში.

შემდეგ კი დაბის მამები  
ჩვენ უნდა ვინახულოთა,  
მიუძღერ-მიუღლიდინოთ  
მეგობრათ დავიგულოთა.

ეკითხოთ: რათ არის ეს დაბა  
უწყლობით განაწამები?  
ან სისუფთავეს რათ ჰკლავენ  
სასანიტარო გვამები?

აჩკოსანს ისე, შორიდან,  
ლიდინით შემოვუაროთ  
და მასაც, კული მათრახის,  
ვაგემოთ, გაუზიაროთ.

თან დავაბაროთ: საქმეში  
ნუ იცის, შენ ჩემობია  
და სიტყვის გადაბრუნების  
თავი ანებოს, სჯობია.

„ოსმან ალა“



# დ ე კ ე შ ე ზ ი

მ.ნ. ახლო მომავალში ჩვენი ხუცეს-კოპერატორი ლონგინოზ კიკვიძე წიკითხავს საყურადღებო ლექციას შემდეგ თემაზე: 1) სიმინდის მაგიერ კამფეტის შემოტანის მოწყობა რაჭაში. 2) როგორ უნდა გაიყიდოს კამფეტი ფქვილის მაგიერონის კოოპერატიულ ლექანში. 3) კამფეტი და მისი აუცილებელი საჭიროება რაჭველი გლახაკობისათვის. 4) ეს დეკების უსაფუძვლო შტრული განწყობილება კამფეტთან. 5) კამფეტი როგორც შიმშილის წამალი.

**იქიდანვე.** შესდგა ხუცების კავშირი, კავშირის მიზანია კოოპერატიულ მოძრაობის გარშემო ლექციების კითხვა. ჯერ-ჯერობით წვევრებათ და ლექტორებათ ჩაეწერენ: მამა ლონგინოზ კიკვიძე, მამა ვლადიმერ ფოფხაძე და მამა ფილიპე გოცირიძე.

**მ.ნ.ი.** ხუცეს-კოოპერატორმა ლონგინოზ კიკვიძემ ლექცია წიკითხა შემდეგ თემაზე: „ეს-დეკები და მათი უარყოფითი დამოკიდებულება კოოპერატიულ მოძრაობასთან. დაესწრენ ვლადიმერ ფოფხაძე და ფილიპე გოცირიძე.“

**ამბროლაშარი.** საჭიროა გამოცდილი ლექტორ კოოპერატიულ მოძრაობაზე ლექციის წასაკითხვით. მოვლიან ლონგინოზ კიკვიძეს.

მნ...

## ბატუნას სააზნაბო

(რადიო აპარატებიდან)

**სუფსა.** დედაკაცთა არმიამ ადლოუმი მოახდინა, შემდეგ გაიმართა ბეობა „ვუაქართა ძალადობისაგან“ თავდაცვაზე. ჯარმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: წინადადება მიეცეს სუფსელ ვაჭრებს დიკვიანონ საქონლის ფასები მინიმალურ ნორმამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოიკოტი ვაჭრებს. აგრეთვე წინადადება მიეცეს მეწისქვილე შარაშიძეს „მინდი“ (წისქვილის ქირა დაფქვაში) 9 გირ. სიმინდის მაგიერ 15 კაპ. მემამულეებს სამოვარი ბევი 3 მანეთის მაგიერ 50 კაპ. აირჩიეს დეპუტაცია ზემოხსენებულ კითხვების სისრულეში მოსაყვანათ.

**იქიდანვე.** ქალთა მოძრაობა გაიგო ბოქაულმა და შეუდგა მოთავეების ძებნას. გაიგო რა ეს დედაკაცთა შტამბა, მოიხმარა მანდილოსნური ზრდილობა და ბოქაული რომ არ შეწყუბუბულიყო მე-

თაურთა ძებნით დედაკაცთა ჯარი თავისი შტამბით (500-ზე მეტი) გამოცხადდა საბოქაულო განყოფილებაში და მოითხოვა ბოქაული, რომელსაც მოახსენა „ჩვენ ქალები შორსა ვართ იმ აზრიდან რომ დარბევა მოვხდინოთ, მარა მოვიტოვოთ საზღვარს ვაჭრების მადზე დასაღებთა წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოიკოტი ვაჭრებს“ თუ ამისათვის ვინმეს დაუჭრა საჭირო გზითვე ყველანი დაგვაპატიმროთა“. ბოქაულმა უხერხულობა იგრძნო და მომენტის შესაფერათ აღუთქვა ქალებს დახმარება.



# ფ მ ს ტ ა

**ჩრჩილს.** შარადა არ დაიბეჭდება, ვინაიდან მაგ თე-  
მაზე და თითქმის მაგ სიტყვებით ავტობული შარადა უკვე იყო  
მოთაუგებული ჩვენს ჟურნალში.

**შხანკოლას.** სცენა ვერ დაიბეჭდება.

**კისერას.** ღირს განა ჩიტი ამდენ ღვეწათ და შემდეგ  
ბღღენათ? მოიწერეთ სხვა თემაზე.

**ჩიას.** ეყოფა მისი ლომამეს, რაც მასზე ითქვა.  
**გიორგის.** „მშაპის მათრახი“ რედაქცია გთხოვთ შე-  
იაროთ ელისაბედის ქუჩაზე № 132, მინა-ჩიტივე.  
**მუხლუხოს.** ამას ჰქვია „ქარიშხალი ერთ ქიქ“ წყალ-  
ში“. გეცნობებით მაინც: ვისზე, რისთვის და რა მოსაზრებით  
დაიხარჯა ამდენი ენერჯია, მელანი და ქალალი?

**ბ-ნ ცხვირამეს.** ცხვირი რაც უნდა გრძელი იყოს,  
მის გადღამა მაინც გვერთ ადგილი რჩება და საპიროთა ხოლმე  
შემოკლება. აი ახლაც მთელი წინა ოთხი ტაევი მეტია.

## ტყუილათ ნუ ირჯეებით!

ქუთაისის ქალთა წრის მიერ დაარსებული საჩხაიე

„მმურს დახმარებაში“

აგზაყინები ბათ ვლა.

დიასახლისებმა უკელამ „დგოიკები“ მიიღეს.

## ბ მ ი ტ ო მ

მომავალი სამოსწავლო წლიდან ვაკანსიები აღარ იქნება:


ბეული დიასახლისები „ვტარაგოდნიცებაი“ დაჩეებიან

ამ კანიკულაგზე საჩხაიე დაკუთილია.

„მშაპი“.



ლ. ი. შულენგ



ლ. ი. შულენგ  
შენი ხელს